მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

2025 წელი

I. მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	2025 წლის 9 თვის გეგმა	საკასო შესრულება
I. შემოსავლები	**37,344.1**	**46,883.2**
გადასახადები	24,004.2	28,151.0
გრანტები	6,764.9	6,764.9
სხვა შემოსავლები	6,575.0	11,967.2
II. ხარჯები	**39,592.5**	**29,629.7**
შრომის ანაზღაურება	4,597.8	3,993.9
საქონელი და მომსახურება	10,914.6	5,891.8
პროცენტი	8.1	8.1
სუბსიდიები	18,927.7	16,838.6
გრანტები	158.0	158.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,225.5	1,087.8
სხვა ხარჯები	3,761.0	1,651.5
III. საოპერაციო სალდო	**- 2,248.5**	**17,253.4**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**39,002.5**	**- 6,520.7**
ზრდა	40,002.5	16,076.4
კლება	1,000.0	22,597.1
V. მთლიანი სალდო	**- 41,251.0**	**23,774.1**
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**- 41,439.5**	**23,585.6**
ზრდა	**-**	**24,172.4**
ვალუტა და დეპოზიტები	-	24,172.4
კლება	**41,439.5**	**586.8**
ვალუტა და დეპოზიტები	41,439.5	586.8
VII. ვალდებულებების ცვლილება	**- 188.6**	**- 188.6**
კლება	**188.6**	**188.6**
საშინაო	188.6	188.6
სესხები	188.6	188.6
VIII. ბალანსი	**0.0**	**0.0**

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ათასი ლარი

დასახელება	**2025 წლის 9 თვის გეგმა**	**2025 წლის 9 თვის შესრულება**
შემოსულობები	**38,344.1**	**69,480.3**
შემოსავლები	37,344.1	46,883.2
არაფინანსური აქტივების კლება	1,000.0	22,597.1
გადასახდელები	**79,783.6**	**45,894.7**
ხარჯები	39,592.5	29,629.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	40,002.5	16,076.4
ვალდებულებების კლება	188.6	188.6
ნაშთის ცვლილება	**- 41,439.5**	**23,585.6**

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 47 693,0 ათას ლარს შეადგენდა, 2025 წლის 9 თვეში ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 23 585.6 ათასი ლარი.

ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 9 თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 9 თვის ბიუჯეტის **შემოსულობების** (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა **38 344.1** ათ.ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა **69 480.3** ათ.ლარი, ანუ გეგმის 181.2% ;

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	**2025 წლის 9 თვის გეგმა**	**2025 წლის 9 თვის საკასო შესრულება**	**სხვაობა**	**შესრულება %**
შემოსულობები	**38,344.1**	**69,480.3**	**31,136.2**	**181.2**
შემოსავლები	37,344.1	46,883.2	9,539.1	125.5
არაფინანსური აქტივების კლება	1,000.0	22,597.1	21,597.1	2,259.7

შემოსავლები

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 9 თვის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 37 344.1 ათასი ლარი, ფაქტობრივად 46 883.2 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 125.5% და მთლიანი შემოსულობების (**69 480.3** ათასი ლარი) - 67.5% შეადგინა. (დანართი N1)

1. გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია **28 151.0** ათასი ლარი:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია **16 600.3** ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 16 136.4 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) - 8.3 ათასი ლარი, ხოლო მიწაზე ქონების გადასახადიდან - 409.2 ათასი ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია **11,550.7** ათასი ლარი.

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	**2025 წლის 9 თვის გეგმა**	**2025 წლის 9 თვის საკასო შესრულება**	**სხვაობა +/-**	**შესრულ ება %**
გადასახადები, მათ შორის:	**24,004.2**	**28,151.0**	**4,146.8**	**117.3**
დამატებითი ღირებულების გადასახადი	**11,379.2**	**11,550.7**	**171.5**	**101.5**
ქონების გადასახადი	**12,625.0**	**16,600.3**	**3,975.3**	**131.5**
საწარმოთა ქონებაზე	12,500.0	16,136.4	3,636.4	129.1
ფიზიკურ პირთა ქონებაზე	50.0	8.3	- 41.7	16.7
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	50.0	72.6	22.6	145.3
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	25.0	336.6	311.6	1,346.3

2. გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ჩარიცხულია - **6 764.9** ათასი ლარი, მათ შორის:

მიზნობრივი ტრანსფერი - 699,3 ათასი ლარი, მათ შორის:

,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 218.4 ათასი ლარი;

საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (მთავრობის განკარგულება N146 24.01.25წ.) - 405.1 ათასი ლარი;

საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების უფლებამოსილების დელეგირების მიზნით (მთავრობის განკარგულება N1098 09.07.25წ.) - 75,8 ათასი ლარი;

კაპიტალური ტრანსფერი - 6 065,6 ათასი ლარი, მათ შორის, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის (მთავრობის განკარგულება N1955 31.12.2024 წ.) – 5 371.0 ათასი ლარი;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის (მთავრობის განკარგულება N53 16.01.2025წ) - 160,0 ათასი ლარი.
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან (მთავრობის განკარგულება N517 21.03.2025 წ.) - 68,0 ათასი ლარი;

სპეციალური ტრანსფერი - 466,6 ათასი ლარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის (მთავრობის განკარგულება N186 30.01.2025 წ.);

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის საკასო შესრულება	შესრულ ება %
გრანტები (ტრანსფერები), მათ შორის:	**6,764.9**	**6,764.9**	**100.0**
მიმდინარე, მათ შორის:	**699.3**	**699.3**	**100.0**
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებისათვის	699.3	699.3	100.0
კაპიტალური, მათ შორის:	**6,065.6**	**6,065.6**	**100.0**
კაპიტალური ტრანსფერი	5,371.0	5,371.0	100.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	160.0	160.0	100.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	68.0	68.0	100.0
სპეციალური ტრანსფერი (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე)	466.6	466.6	100.0

3. სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 6 575.0 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 11 967.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 182%-ია.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების ფაქტობრივმა მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 6 491.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 435.0 ათასი ლარი) 266.6%-ია. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია 4 784.5 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

რენტის სახით მიღებულია 1 707.0 ათასი ლარი, აქედან: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 1 409.3 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 297.7 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 1 537.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 340.0 ათასი ლარი) 114.7%-ია, აქედან:

ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით - 1 479.0 ათასი ლარი, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელი - 554.6 ათასი ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებელი - 921.1 ათასი ლარი;

არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვებიდან 58.3 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს შემოსავლებს მომსახურების გაწევიდან .

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 3 797.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (2 800.0 ათასი ლარი) 135.6%-ია , მათ შორის:
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 3 024.5 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 138.6 ათასი ლარი, შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 634.5 ათასი ლარი;
ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 140.9 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 73.2 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 1.0 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 29,2 ათასი ლარი; ჯართის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი - 1,3 ათასი ლარი; ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 36.1 ათასი ლარი.

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულება %
სხვა შემოსავლები, მათ შორის:	**6,575.0**	**11,967.2**	**5,392.2**	**182.0**
შემოსავლები საკუთრებიდან	**2,435.0**	**6,491.5**	**4,056.5**	**266.6**
პროცენტები	**1,400.0**	**4,784.5**	**3,384.5**	**341.7**
რენტა	**1,035.0**	**1,707.0**	**672.0**	**164.9**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	900.0	1,409.3	509.3	156.6
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან	135.0	297.7	162.7	220.5
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**1,340.0**	**1,537.3**	**197.3**	**114.7**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**1,300.0**	**1,479.0**	**179.0**	113.8
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	750.0	554.6	-195.4	73.9
სანებართვო მოსაკრებელი	550.0	921.1	371.1	167.5
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	**40.0**	**58.3**	**18.3**	**145.8**
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	40.0	58.3	18.3	145.8
სანქციები, ჯარიმები და საურავები	**2,800.0**	**3,797.5**	**997.5**	**135.6**
შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	2,385.0	3,024.5	639.5	126.8
შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	75.0	138.6	63.6	184.8
შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული	340.0	634.5	294.5	186.6

შემოსავლის სახეები	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულება %
სამართალდარღვევების გამო				
ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	-	**140.9**	**140.9**	-

არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან სულ მიღებულია **22 597,1** ათასი ლარი, აქედან: 173,0 ათასი ლარი - სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან, ხოლო არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 22 424,2 ათასი ლარი, მათ შორის: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან მიღებულია 20 161,7 ათასი ლარი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან - 562,0 ათასი ლარი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან - 1 523,1 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან - 177,3 ათასი ლარი.

ათასი ლარი

დასახელება	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულების %
არაფინანსური აქტივების კლება, მათ შორის:	**1,000.0**	**22,597.1**	**21,597.1**	**2,259.7**
ძირითადი აქტივები	**200.0**	**173.0**	**- 27.0**	**86.5**
შენობა ნაგებობები	200.0	173.0	- 27.0	86.5
არაწარმოებული აქტივები	**800.0**	**22,424.2**	**21,624.2**	**2,803.0**
მიწა	800.0	22,424.2	21,624.2	2,803.0

ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 9 თვეში ბიუჯეტის (დანართი N2) შესრულება:

◙ **საერთო დანიშნულების** სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 5 716,3 ათასი ლარი, გეგმის (7 379,5 ათასი ლარი) 77,5%, მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 12,5%-ს.

ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), მუნიციპალური საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების, ელექტრონული სერვისების დანერგვისა და განვითარების, თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვის, საერთო დანიშნულების მომსახურების, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების, წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები.

◙ **ეკონომიკური საქმიანობის** სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 27 802,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 14 451,6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 52%. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 31,6%-ს.

აღნიშნული სფერო მოიცავს გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთების, გზების კაპიტალური შეკეთების, გზების კეთილმოწყობის, სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარების, სადღესასწაულო ღონისძიებების ქვეპროგრამების დაფინანსებას.

◙ **გარემოს დაცვის სფეროს** დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 5 082,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2 704,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 53,2%; მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 5,9%-ს.

ამ სფეროში გაერთიანებულია დასუფთავება და ნარჩენების გატანის, მწვანე ნარგავების გაშენების და მოვლა-პატრონობის, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებების ქვეპროგრამების ხარჯები.

◙ **საბინაო-კომუნალური** მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 19 497,4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 6 971,0 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 35,8%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 15,3%-ს.

ამ სფეროში გაერთიანებულია წყლის სისტემების განვითარების, გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაციის, მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაციის, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის(სკვერები და მოსაცდელები), მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების, სოფლის მხარდაჭერის და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობის პროგრამების დაფინანსება.

◙ **ჯანმრთელობის დაცვის** სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 1 238,6 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 176,8 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 95%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 2,6%-ია.

ამ სფეროში გაერთიანებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების, მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსების ქვეპროგრამები.

◙ **დასვენების, კულტურის და რელიგიის** სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 7 274,2 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 5 304,7 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 72,9%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 11,6%-ია.

ამ სფეროში გაერთიანებულია სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის, კულტურის სფეროს განვითარების, კულტურული და სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ქვეპროგრამების დაფინანსება.

◙ **განათლების სფეროს** დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 8 879,5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 7 571,09 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 85,3%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 16,6%-ია.

ამ სფეროში გაერთიანებულია სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობის, სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის, ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობის ქვეპროგრამების დაფინანსება.

◙ **სოციალური დაცვის სფეროს** დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 2 441,4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 809,8 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 74,1%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 4%-ია.

აღნიშნული სფერო მოიცავს ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის, ერთჯერადი სოციალური დახმარების, ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარების, ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობის, მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს ხელშეწყობის ქვეპროგრამების დაფინანსებას.

II. ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 9 თვის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2025 წელს 9 თვეში გადასახდელების შესრულების 57,5%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა (დანართი N3).

2025 წლის 9 თვის ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 79 783,6 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 45 894,7 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 57,5%, მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 39 592,5 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 29 629,7 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 74,8% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 64,6%.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 40 002,5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 16 076,4 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 40,2% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 35%.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 188,6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 188,6 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 100%, მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 0,4%.

ათასი ლარი

N	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	პერიოდის გეგმა	პერიოდის საკასო ხარჯი	სხვაობა +/-	შესრულების %
	მცხეთის მუნიციპალიტეტი	**79,783.6**	**45,894.7**	**33,888.9**	**57.5**
	მომუშავეთა რიცხოვნება	**1,523.5**	**1,523.5**	**-**	**-**
1	**ხარჯები**	**39,592.5**	**29,629.7**	**9,962.8**	**74.8**
	შრომის ანაზღაურება	4,597.8	3,993.9	603.9	86.9
	საქონელი და მომსახურება	10,914.6	5,891.8	5,022.8	54.0
	პროცენტი	8.1	8.1	-	100.0
	სუბსიდიები	18,927.7	16,838.6	2,089.1	89.0
	გრანტები	158.0	158.0	-	100.0
	სოციალური უზრუნველყოფა	1,225.5	1,087.8	137.7	88.8
	სხვა ხარჯები	3,761.0	1,651.5	2,109.5	43.9
2	**არაფინანსური აქტივების ზრდა**	**40,002.5**	**16,076.4**	**23,926.1**	**40.2**
3	**ვალდებულებების კლება**	**188.6**	**188.6**	**-**	**100.0**

მცხეთის მუნიციპალიტეტის 9 თვის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გაწეულმა მთლიანი ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა **29 629.7** ათასი ლარი, მათ შორის:

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 4 597,8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3 993,9 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 86,9%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 13.5%-ია.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 10 914,6 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 5 891,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 54%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 19,9%-ია.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 8,1 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 8,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0,03%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 18 927,7 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 16 838,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 89%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 3,7%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 158,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 158,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.5%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 225,5 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 087,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 88,8%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 3,7%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 3 761,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1 651,5 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 43,9%, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 5,6%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით

ათასი ლარი

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	სხვაობა +/-	შესრულება, %
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**143.5**	**120.3**	**23.2**	**83.9**
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის	143.5	120.3	23.2	83.9

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	სხვაობა +/-	შესრულება, %
	უზრუნველყოფა				
02 00	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**	**34,595.5**	**14,550.9**	**20,044.7**	**42.1**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	18,518.6	9,919.2	8,599.4	53.6
02 02	წყლის სისტემების განვითარება	2,410.1	691.5	1,718.6	28.7
02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	363.7	-	363.7	-
02 04	მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	1,700.3	29.3	1,671.0	1.7
02 05	სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება	1,030.5	1,030.5	-	100.0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,966.8	832.7	1,134.1	42.3
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2,229.6	291.7	1,937.8	13.1
02 08	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	620.1	-	620.1	-
02 09	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	842.0	380.3	461.7	45.2
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	2,647.8	919.9	1,727.9	34.7
02 11	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა	716.0	455.7	260.3	63.6
02 12	სპეციალური დანიშნულების ინვენტარის და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა	1,550.0	-	1,550.0	-
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**1,801.8**	**3.0**	**1,798.8**	0.2
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	801.8	3.0	798.8	0.4
03 02	მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა	1,000.0	-	1,000.0	-
04 00	**განათლება**	**660.1**	**177.5**	**482.6**	26.9
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	283.8	153.3	130.5	54.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	147.0	-	147.0	-
04 04	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	229.3	24.2	205.1	10.5
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**	**2,799.7**	**1,222.9**	**1,576.8**	43.7
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	2,742.0	1,185.6	1,556.4	43.2
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	57.7	37.3	20.4	64.7
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**1.8**	**1.8**	-	100.0

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	სხვაობა +/-	შესრულება, %
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1.8	1.8	-	100.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა, ჯამი	**40,002.5**	**16,076.4**	**23,926.1**	**40.2**

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 9 თვის ბიუჯეტით დაფინანსებული პრიორიტეტები:

- ✓ პრიორიტეტი **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 21 422,5 ათასი ლარით, გეგმის (47 299,7 ათასი ლარი) - 45,3%;
- ✓ პრიორიტეტი **დასუფთავება და გარემოს დაცვა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2 704,1 ათასი ლარით, გეგმის (5 082,3 ათასი ლარი) – 53,2%;
- ✓ პრიორიტეტი **განათლება** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 7 571,9 ათასი ლარით, გეგმის (8 879,5 ათასი ლარი) - 85,3%;
- ✓ პრიორიტეტი **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 5 304,7 ათასი ლარით, გეგმის (7 274,2 ათასი ლარი) - 72,9%;
- ✓ პრიორიტეტი **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2 986,6 ათასი ლარით, გეგმის (3 679,9 ათასი ლარი) – 81,2%;
- ✓ პრიორიტეტი **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 5 904,9 ათასი ლარით, გეგმის (7 568,1 ათასი ლარი) - 78%;

III. პროგრამების და ქვეპროგრამების შესრულება

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

02 00 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია დაფინანსებულია 21 422,5 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 47 299,7 ათასი ლარი - 45,3%) შემდეგ პროგრამებზე:

ათასი ლარი

პროგ. კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	სხვაობა +/-	შესრულება, %
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	47,299.7	21,422.5	25,877.1	45.3
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	20,984.7	10,666.2	10,318.4	50.8
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება	2,100.0	664.1	1,435.9	31.6
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	13,222.9	7,275.6	5,947.3	55.0

პროგ. კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	სხვაობა +/-	შესრულება, %
02 01 03	გზების კეთილმოწყობა	5,661.8	2,726.5	2,935.3	48.2
02 02	წყლის სისტემების განვითარება	5,252.1	3,281.3	1,970.8	62.5
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	1,864.3	1,650.0	214.3	88.5
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	3,228.6	1,531.0	1,697.7	47.4
02 02 03	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	159.2	100.3	58.8	63.0
02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	1,704.7	1,130.0	574.7	66.3
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	1,341.0	1,130.0	211.0	84.3
02 03 01 01	გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება	930.0	820.2	109.9	88.2
02 03 01 02	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	411.0	309.8	101.2	75.4
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია	363.7	-	363.7	-
02 04	მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	3,148.8	97.3	3,051.5	3.1
02 05	სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება	2,330.5	2,130.5	200.0	91.4
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,734.2	1,377.4	1,356.8	50.4
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები)	2,051.9	914.1	1,137.8	44.5
02 06 02	დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა	89.3	70.2	19.0	78.7
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	593.0	393.0	200.0	66.3
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	3,274.9	597.0	2,678.0	18.2
02 08	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	720.1	46.7	673.3	6.5
02 09	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	1,033.5	423.4	610.1	41.0
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	3,804.8	1,191.6	2,613.2	31.3
02 11	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა	761.5	481.2	280.3	63.2

პროგ. კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	სხვაობა +/-	შესრულება, %
02 12	სპეციალური დანიშნულების ინვენტარის და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა	1,550.0	-	1,550.0	-

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსებულია 10 666,2 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 20 984,7 ათასი ლარი- 50,8%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 01 01 გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება - დაფინანსებულია 664,1 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 2 100,0 ათასი ლარის - 31,6%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა გზების მიმდინარე (ორმოული) შეკეთება სოფლებში: საგურამო, ნატახტარი, ჯიღაურა, გალავანი; საგზაო ნიშნების და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების შეძენა-მონტაჟი;

02 01 02 გზების კაპიტალური შეკეთება - დაფინანსებულია 7 275,6 ათასი ლარით (მათ შორის, კაპიტალური ტრანსფერი 5 336.9 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის - 13 222,9 ათასი ლარის - 55%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა:
სოფ. ლისში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა; სოფ. წილკანში, სელექციის დასახლებაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (რგფ, N1955 31.12.24წ.); სოფ. მუხრანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (სამების სახელობის ეკლესიასთან მისასვლელი, მეურნეობის უბანში შატოს შესასვლელთან, პატარა ქანდა), (რგფ, N1955 31.12.24წ.); სოფ. ნავდარაანთკარში, შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა; სოფ. ახალუბანში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა; სოფ. ძეგვში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები (რგფ, N1955 31.12.2024წ) და ციხედიდთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; სოფ. წილკანში იგპ დასახლებაში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (რგფ, N2402 28.12.23წ.; რგფ, N1955 31.12.24წ.); სოფ. ძალისის შიდა საუბნო გზის (I და II მონაკვეთები) მოწყობა (რგფ, N1955 31.12.24წ.); სოფ. სასხორში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობა; სოფ. მუხათწყაროში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (მაღალმთიანი, განკ N517 21.03.25წ.) სოფ. წიწამურში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (რგფ, N1955 31.12.2024წ.); სოფ. ვაზიანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (რგფ, N1955 31.12.24წ.); სოფ. ერედაში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (რგფ N1955 31.12.2024წ.); ქ. მცხეთაში შიდა საუბნო გზის (ვახტანგ გორგასლის ქუჩა) რეაბილიტაცია (რგფ, N1955 31.12.2024წ.); ქ. მცხეთაში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (6 ლოკაცია: რუსთაველის და წერეთლის ქუჩები, სააკაძის ქუჩაზე, ღვინჯილიას ქუჩის მიმდებარედ, აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ, არსენას ძეგლის მიმდებარედ და ე.წ. ქურთების უბანში (რგფ, N1955 31.12.2024წ); ქ. მცხეთაში დემეტრე თავდადებულის ქუჩის რეაბილიტაცია; სოფ. ქსოვრისში გზების რეაბილიტაცია; სოფ. ჩარდახში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (რგფ, N1955 31.12.2024წ); სოფ. მისაქციელში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (რგფ, N1955 31.12.2024წ); სოფ. მამკოდაში (ხოდაბუნების დასახლება) შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (რგფ, N1955 31.12.2024წ); სოფ. საგურამოში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (რგფ, N1955 31.12.2024წ);

02 01 03 გზების კეთილმოწყობა - დაფინანსებულია 2 726,5 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 5 661,8 ათასი ლარი - 48,2%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა:
ქ. მცხეთაში შიდა საუბნო (ბებრის ციხესთან მისასვლელი) გზის რეაბილიტაცია; ქ. მცხეთაში, პეტრე იბერიელის N27 ქუჩის მიმდებარედ, (გეთსამანიის ტაძართან)დაზიანებული საყრდენი კედლის რეაბილიტაცია; ქ. მცხეთაში, სამხედროს ქუჩაზე, ტროტუარების, მოაჯირების, საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაცია; ვიდეო სამეთვალყურეო აპარატურის შეკეთება; სოფ. მუხრანში ცენტრალური ნაწილის რეაბილიტაცია; სოფ. საგურამოში გაზის დასახლებაში კორპუსის ეზოს კეთილმოწყობა (საყრდენი კედლების რეაბილიტაცია); ქ. მცხეთაში,

რუსთაველის ქუჩაზე საყრდენი კედლების მოწყობა; სოფ. წილკანში ტერიტორიის რეაბილიტაცია (ტაძრის მიმდებარე); ქ. მცხეთაში, დ.აღმაშენებლის ქუჩა N1-დან არსენას ძეგლის ხიდამდე (თბილისიდან მარჯვენა მხარეს) ტროტუარების და საყრდენი კედლების მოწყობა; სოფ. კევლიანში, მდინარე თეძამის ხევზე გადასასვლელი საფეხმავლო ხიდის მოწყობა; სოფ. მისაქციელში საცხოვრებელი კორპუსების ეზოების ასფალტბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები (რგფ N1955 31.12.24);

02 02 წყლის სისტემების განვითარება დაფინანსებულია 3 281,3 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 5 252,1 ათასი ლარი - 62.5%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 02 01 სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - დაფინანსებულია შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანია“ 1 650,0 ათასი ლარით, გეგმის 1 864,3 ათასი ლარის 88,5%;

საანგარიშო პერიოდში მოემსახურა 59 სოფელს, სადაც განხორციელდა ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს შემდეგი სამუშაოების შესრულებას: დაზიანებული წყალსადენის ქსელის რემონტი, არსებული წყლის რეზერვუარების დაქლორვა, გაწმენდა-შეკეთება; მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების და ჩამკეტ-მარეგულირებელი მოწყობილობების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება.

დაბინძურების წყაროების იდენტიფიცირების მიზნით სამსახურის მიერ რეგულარულად მიმდინარეობდა წყალმომარაგების სისტემების მდგომარეობის შესწავლა, რეზერვუარებში არსებული წყლის გაუსნებოვნება, დეზინფექცირება, რეზერვუარების დაქლორვა-გარეცხვა, ხარისხის მონიტორინგი და ლაბორატორიული კვლევა ტარდებოდა შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე.

საანგარიშო პერიოდში მოსახლეობას და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს წყალი მიეწოდებოდათ ჭაბურღილების (28 სოფელი, 103 ერთეული), დრენაჟული წყალმიმღებების (21 სოფელი), კომპანია GWP - ის (10 სოფელი) და „გაერთიანებული ქართული წყლები“-ს (5 სოფელი) მეშვეობით.

მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების ქსელის სიგრძე დღეის მდგომარეობით დაახლოებით 368529 კმ-ია. სხვადასხვა ზომის შემკრებ ავზებს (რეზერვუარებს) შეემატა ერთი ერთეული 50 კუბ.მ მოცულობის შემკრები გამანაწილებელი ავზი, ჯამში მათი საერთო რაოდენობა გახდა 114 ცალი, (მათ შორის 20 თვითდინებით შევსებადი) საერთო მოცულობით 15,299 ათ. კუბ.მ.

02 02 02 სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია - დაფინანსებულია 1 531,0 ათასი ლარით, გეგმის - 3 228,6 ათასი ლარის - 47,4%; განხორციელდა ჭაბურღილების მიერ მოხმარებული ელენერგიის ხარჯის ანაზღაურება და სოფ. ზაქაროს წყალმომარაგების ჭაბურღილების, რეზერვუარების და მილსადენების მოწყობა;

02 02 03 საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - დაფინანსებულია 100,3 ათასი ლარით, გეგმის - 159,2 ათასი ლარი - 63%;

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა ქალაქ მცხეთაში (არმაზის დასახლება) და მუნიციპალიტეტის სოფლებში: საგურამო, ძეგვი, წეროვანი, წინამძღვრიანთკარი;

02 03 გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ქსპლუატაცია დაფინანსებულია 1 130,0 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 1 704,7 ათასი ლარი - 66,3%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 03 01 01 გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება - დაფინანსებულია 820,2 ათასი ლარით, გეგმის (930,0 ათასი ლარი)- 88,2%;

განხორციელდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული გარე განათების ქსელის წერტილების (14977 ერთეული) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურება.

02 03 01 02 გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა (განმახორციელებელი ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“) - საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია 309,8 ათასი ლარით, დაზუსტებული გეგმის - 411,0 ათასი ლარი - 75,4 %.

საანგარიშო პერიოდში ყოველდღიურად ხორციელდებოდა დასახლებული პუნქტების და ქუჩების 14977 გარე განათების წერტილის ექსპლუატაცია, მათ შორის, ქ. მცხეთის ქუჩების, სკვერებისა და არქიტექტურული ძეგლების განათების 2036 წერტილის და მუნიციპალიტეტის 60 სოფლის დასახლებული პუნქტების, ქუჩების გარე განათების 12941 წერტილის, 434507 მ. სიგრძის ელსადენის, 229 ელგამშვები კვანძის ექსპლუატაცია. ამ პერიოდში განხორციელდა ამორტიზებული და მწყობრიდან გამოსული ელმოწყობილობების ახლით შეცვლა, შეიცვალა 4447 ცალი სხვადასხვა ტიპის ნათურა, 1296 ცალი დიოდური და 132 ცალი სოდიუმის ნათურა, 85 ცალი ავტომატური ამომრთველი, 65 ცალი ელგამშვები მოწყობილობა, 72 ცალი იგნატორი, 172 ცალი ფაიფურის მასრა, 182 ცალი სპილენძის დროსელი, 94 ცალი წერტილოვანი და 75 ცალი ფოთლისებური ქუჩის სანათი, 108 ცალი ეკო სანათი, 14 ცალი პროჟექტორი, 16 ცალი ფოტორელე, 2136 მ სიგრძის ელსადენი.

02 04 მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - გეგმა 3 148,8 ათასი ლარი, დაფინანსებულია 97,3 ათასი ლარით, გეგმის 3,1%;
საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ქ. მცხეთაში, მირიანის ქუჩაზე არსებული სანიტარული კვანძის რეაბილიტაცია;
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვოდ აშენებული შენობების დემონტაჟი;

02 05 სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება - დაფინანსებულია 2 130,5 ათასი ლარით, გეგმის - 2 330,5 ათასი ლარი - 91,4%.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 10 ერთეული ავტობუსის ღირებულება - 1 030,5 ათასი ლარით და შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანიის“ მიერ გაწეული სატრანსპორტო სერვისის ხარჯები (ხელფასები, საწვავი, ავტობუსების რემონტი) - 1 100.0 ათასი ლარით, გეგმის (1 300,0 ათასი ლარი)- 84.6%;

02 06 კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 1 377,4 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 2 734,2 ათასი ლარი- 50,4%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 06 01 საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები) - დაფინანსებულია 914,1 ათასი ლარით, გეგმის - 2 051,9 ათასი ლარი - 44,5%.

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სკვერებში არსებული სასმელი წყლის და შადრევნის წყლის ხარჯის დაფინანსება, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების ფრაგმენტული და ახლის მოწყობის სამუშაოები; სოფ. ძეგვში სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია (ს.კ. N71.11.04.419 და ს.კ. N72.11.08.045);

02 06 02 დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა (განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“) - დაფინანსებულია 70,2 ათასი ლარით, გეგმის - 89,3 ათასი ლარი - 78,7%.

განხორციელდა არსებული დაზიანებული ბორდიურების, საყრდენი კედლების, მოსაცდელების სარემონტო სამუშაოები, გარე განათების ბოძების, მოაჯირების, ხის სანაგვე ურნების შეღებვა, ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული ატრაქციონების, სკამების, ნაგვის კონტეინერების, სკვერებში წყლის ონკანების შეკეთება, სამანქანო გზის ნაპირების გაწმენდა და სხვა სარემონტო სამუშაოები.

02 06 03 სადღესასწაულო ღონისძიებები - დაფინანსებულია 393,0 ათასი ლარით, გეგმის - 593,0 ათასი ლარი -66,3%.
საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა საშობაო-საახალწლო დღესასწაულისთვის ქალაქში საახალწლო დეკორაციების და მთავარი ნაძვის ხის მონტაჟი/დემონტაჟის ღონისძიებები;

02 07 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსებულია 597,0 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 223,6 ათასი ლარი), გეგმის - 3 274,9 ათასი ლარი - 18,2%.
დაფინანსდა მუნიციპალიტეტის სოფლებში 60 ათას ლარამდე ღირებულების მცირე, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები: გარე განათების მოწყობის სამუშაოები, გზების მოხრეშა/რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სისტემების, სარწყავი და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და სხვა.

02 08 სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - დაფინანსებულია 46.7 ათასი ლარით, გეგმის - 720.1 ათასი ლარი - 6,5%. საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია სანიაღვრე არხების გაწმენდა სოფლებში: ქსოვრისი, ვარდისუბანი, ვაზიანი, ძალისი.

02 09 მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება - დაფინანსებულია 423,4 ათასი ლარით, გეგმის - 1 033,5 ათასი ლარი - 41 %.
საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა -262.4 ათასი ლარი; ჩატარებული სამუშაოების ხარისხზე ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა - 161,0 ათასი ლარი;

02 10 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება - დაფინანსებულია 1 191,6 ათასი ლარით (მათ შორის, სპეციალური ტრანსფერი 916,6 ათასი ლარი), გეგმის - 3 804.8 ათასი ლარი - 31,3%.
საანგარიშო პერიოდში სპეციალური ტრანსფერით დაფინანსდა სოფ. ბიწმენდში, ახატნის ხევის ნაპირსამაგრის მოწყობა (II ეტაპი), სოფ. ბევრეთში ნაპირსამაგრი სამუშაოები, სოფ. ხეკორძში, სტიქიის შედეგად დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოები, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უხვად მოსული თოვლისგან გზის საფარის გაწმენდის სამუშაოები, საყრდენი კედლის რეაბილიტაცია ქ. მცხეთაში, აღმაშენებლის ქუჩაზე;

02 11 ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა - დაფინანსებულია 481,2 ათასი ლარით (მ.შ. ტრანსფერი 138,3 ათასი ლარი), გეგმის - 761,5 ათასი ლარი - 63,2%.
დაფინანსდა შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია სოფ. მუხათწყაროში; გზების მოხრეშვა სოფლებში: მამკოდა, მუხრანი; სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია სოფ. ნატახტარში; სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია სოფ. მუხრანში;

დასუფთავება და გარემოს დაცვა

03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა დაფინანსებულია 2 704,1 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 5 082,3 ათასი ლარი- 53,2%) შემდეგ პროგრამებზე:

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	სხვაობა	შესრულება %
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	5,082.3	2,704.1	2,378.2	53.2
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	3,589.3	2,408.5	1,180.7	67.1
03 02	მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა	1,433.0	295.5	1,137.5	20.6
03 02 01	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	288.0	249.5	38.5	86.6
03 02 02	მწვანე ნარგავების გაშენება	1,145.0	46.0	1,099.0	4.0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	60.0	-	60.0	-

03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა დაფინანსებულია **2 408,5** ათასი ლარით, გეგმის - **3 589,3** ათასი ლარი - 67,1%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქ. მცხეთის 179420 კვ.მ. ფართობის ქუჩების ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავება, ქუჩების გაწმენდა ქვიშისა და ნარჩენებისგან, თოვლის და ყინვიანი ამინდების დროს სოფ. ლისის, წოდორეთის, მსხალდიდის, ნაფეტვრების, ნიჩბისი, ფრეზეთის, საგურამოს ქუჩებში დაიყარა 240 ტონა ქვიშა-მარილი; ქალაქ მცხეთის (მათ შორის, ქალაქის სასაფლაოს ტერიტორია) და მუნიციპალიტეტში შემავალი 22 ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებიდან და ორგანიზაციებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა (11 ნაგავმზიდით) 45 კმ - ზე კასპის ნაგავსაყრელზე.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია სულ 1,1 კუბ.მ ტევადობის 1717 ცალი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პლასტმასის კონტეინერი, მათ შორის, ქ. მცხეთის ტერიტორიაზე - 257 ცალი, სოფლებში - 1310 ცალი, ორგანიზაციებში -150 ცალი.

პროგრამის ფარგლებში სისტემატურად, ყოველი წვიმის შემდეგ, ხორციელდებოდა ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული 2426 გრძ/მ სანიაღვრე არხებისა და ჭების გაწმენდა წვიმის ნიაღვრისაგან ჩამოტანილი ნარჩენებისგან, ასევე გაიწმინდა სანიაღვრე არხი სოფ. საგურამოში, კოკისპირული წვიმის შედეგად ჩამოტანილი ქვიშისა და ნარჩენისაგან. ყოველდღიურად ხდებოდა ქ. მცხეთის სასაფლაოს ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

03 02 01 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა დაფინანსებულია 249,5 ათასი ლარით, გეგმის - 288,0 ათასი ლარი - 86,6%.

განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 152000 კვ.მ. ფართობის მწვანე საფარის ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად სისტემატურად ხდებოდა პარკებისა და სკვერების ფერდობების და გაზონების მწვანე ფართობის ტერიტორიების გაკრეჭა-დაფოცხა, მწვანე ნარგავების შემობარვა, ჯამების მოწყობა, ხმელი ხეების მოჭრა, ეკალბარდის გაჩეხა, ბუჩქების და გაზონების გაკრეჭა, მოიჭრა 40 ძირი ამორტიზებული, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ხე, მთლიანად გაიჩეხა და გაიწმინდა ეკალ-ბარდებისა და გამხმარი ტოტებისაგან ფარნავაზის მოედნიდან მუხათგვერდამდე ცენტრალური გზის მიმდებარე ტერიტორიები და თეატრონის ტერიტორია, ამ სამუშაოების დროს გატანილ იქნა დაახლოებით 350 კუბ.მეტრი ნარჩენი. ქ, მცხეთაში, სამხედროს და აღმაშენებლის ქუჩების ფერდობებზე დაიყარა და მოსწორდა 200 კუბ. მ. მინდვრის მიწა.

03 02 02 მწვანე ნარგავების გაშენება დაფინანსებულია 46,0 ათასი ლარით, გეგმის - 1 145,0 ათასი ლარი - 4%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა დაზიანებული და დაავადებული ხეების (სულ 229 ძირი) მოჭრა და სხვლა-ფორმირება (40 ძირი) სოფლებში ძველი ქანდა, მისაქციელი, ნავაზი, ძეგვი, ძალისი, ქსანი, ნატახტარი, ციხისძირი;

03 04 უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - საანგარიშო პერიოდის გეგმა 60,0 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში ხარჯი არ გაწეულა;

განათლება

04 00 განათლება დაფინანსებულია 7 751,9 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 8 879,5 ათასი ლარი - 85,3%) შემდეგ პროგრამებზე:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	სხვაობა	შესრულება, %
04 00	განათლება	8,879.5	7,571.9	1,307.6	85.3
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	7,663.9	6,810.6	853.3	88.9
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	147.0	-	147.0	-
04 03	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	364.3	288.0	76.3	79.0
04 04	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	704.3	473.3	230.9	67.2

04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა დაფინანსებულია 6 810,6 ათასი ლარით, გეგმის - 7 663,9 ათასი ლარი - 88,9%. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა საბავშვო ბაგა-ბაღის შენობების მშენებლობა სოფლებში პატარა ქანდა და ჩარდახი, სრულდება საბავშვო ბაგა-ბაღის შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფ. ძეგვის, სოფ. საგურამოს, ქ. მცხეთის N3 და N5 სააღმზრდელო დაწესებულებებში, სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს დასრულებული საბავშვო ბაღების აღჭურვა საჭირო ინვენტარით; მიმდინარე წელს 446 აღსაზრდელი წავიდა სკოლაში, ამ ეტაპზე სააღმზრდელო დაწესებულებებში ირიცხება 1774 აღსაზრდელი.

გაერთიანებამ უზრუნველყო საბავშვო დაწესებულებებში მომუშავე 68 პერსონალის 66 საათიანი აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის შესაბამისად გადამზადება.

04 02 სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა - გეგმა 147,0 ათასი ლარი დაფინანსებულია 0,0 ათასი ლარით;

04 03 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა დაფინანსებულია - 288,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 364,3 ათასი ლარი - 79%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ყოველდღიურად დაახლოებით 500 ბავშვის წაყვანა ისეთი

სოფლებიდან, სადაც არ არის საბავშვო ბაღი, ახლოს მდებარე საბავშვო ბაღში და მათი უკან, სახლში დაბრუნება.

04 04 ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა დაფინანსებულია 473,3 ათასი ლარით, (მათ შორის, მიზნობრივი ტრანსფერი 405,1 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის - 704,3 ათასი ლარი - 67,2%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (მიზნობრივი ტრანსფერი) და საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის 99 წარჩინებული მოსწავლის წახალისება ფულადი ჯილდოთი;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

05 00 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი დაფინანსებულია **5 304,7** ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 7 274,2 ათასი ლარი - 72,9%) შემდეგ პროგრამებზე:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	სხვაობა	შესრულება, %
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	7,274.2	5,304.7	1,969.5	72.9
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	5,008.3	3,290.4	1,717.9	65.7
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2,369.3	2,107.8	261.5	89.0
05 01 01 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	344.7	327.8	16.9	95.1
05 01 01 02	კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა	424.3	258.7	165.6	61.0
05 01 01 03	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	604.0	586.0	18.0	97.0
05 01 01 04	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	293.0	268.8	24.2	91.7
05 01 01 05	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	578.3	541.5	36.8	93.6
05 01 01 06	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	125.0	125.0	-	100.0
05 01 02	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2,638.9	1,182.5	1,456.4	44.8
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,265.9	2,014.3	251.6	88.9
05 02 01	კულტურის დაწესებულებების ხელშეწყობა	1,969.0	1,741.2	227.8	88.4
05 02 01 01	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	1,936.0	1,708.2	227.8	88.2
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	33.0	33.0	-	100.0

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	სხვაობა	შესრულება, %
05 02 03	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1.4	-	1.4	-
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	20.0	-	20.0	-
05 02 05	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	275.6	273.1	2.4	99.1

05 01 01 ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 327,8 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 344,7 ათასი ლარი - 95,1 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“.

05 01 02 კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 258,7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 424,3 ათასი ლარი - 61%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია“;

05 01 01 03 ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 586,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 604,0 ათასი ლარი - 97%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა“;

05 01 01 04 სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 268,8 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 293,0 ათასი ლარი - 91,7%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა“;

05 01 01 05 საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 541,5 ათასი ლარით გეგმური მაჩვენებლის - 578,3 ათასი ლარი - 93,6%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“.

05 01 01 06 რაგბის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 125,0 ათასი ლარით გეგმური მაჩვენებლის 100,0 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი „ყაზბეგი“.

05 01 02 სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა დაფინანსებულია 1 182,5 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 2 638,9 ათასი ლარი - 44,8 %.
საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: სოფ. მუხრანში (პატარა ქანდა) მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა; სოფ. მუხრანში მინი სპორტული მოედნის მოწყობა; სპორტული მოედნების რეაბილიტაცია; სოფ.გალავანში არჩილ ჩოხელის სახელობის საჭიდაო დარბაზის მიშენება-რეაბილიტაცია; სოფ. ქსანში კალათბურთის მოედნის მოწყობა;

05 02 01 01 კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა დაფინანსებულია 1 708,2 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 1 936,0 ათასი ლარი - 88,2%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“;

05 02 01 04 მუზეუმების ხელშეწყობა დაფინანსებულია 33,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 100 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“;

05 02 04 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - საანგარიშო პერიოდში ხარჯი არ გაწეულა (გეგმა 20,0 ათასი ლარი);

05 02 05 კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 273,1 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 275,6 ათასი ლარი - 99,1 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი“.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

06 00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსებულია 2 986,6 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 3 679,9 ათასი ლარი - 81,2%) შემდეგ პროგრამებზე:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	სხვაობა	შესრულება, %
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,679.9	2,986.6	693.3	81.2
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,238.6	1,176.8	61.7	95.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	313.6	293.0	20.6	93.4
06 01 02	მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსება	925.0	883.9	41.1	95.6
06 02	სოციალური დაცვა	2,441.4	1,809.8	631.6	74.1
06 02 01	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2,084.7	1,484.1	600.6	71.2
06 02 02	ერთჯერადი სოციალური დახმარება	125.2	111.1	14.1	88.7
06 02 03	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	2.0	1.0	1.0	50.0
06 02 04	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება	45.0	44.2	0.8	98.2
06 02 05	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	70.4	65.5	4.9	93.0
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	114.0	103.9	10.1	91.1

06 01 ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია 1 176,8 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 1 238,6 ათასი ლარის - 95%, შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 01 01 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსებულია 293,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 313,6 ათასი ლარი - 93,4 %, (მათ შორის, მიზნობრივი ტრანსფერი 199,3 ათასი ლარი) საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯები;

06 01 02 მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება დაფინანსებულია 883,9 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 925,0 ათასი ლარი - 95,6 %; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციის ღირებულების დაფინანსება (1192 ბენეფიციარი), აუტისტური სპექტრის და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე არასრულწლოვანი პირების (79 ბენეფიციარი) ფინანსური დახმარება.

06 02 01 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსებულია 1 484,1 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის -2 084,7 ათასი ლარი - 71,2%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: მესამე და მეტი შვილის შეძენაზე 55 ბენეფიციარის ერთჯერადი ფინანსური დახმარება, დღესასწაულებთან (დედის დღე, ნოვრუზობა, აღდგომა) დაკავშირებით 2595 ოჯახის სასურსათო კალათით დახმარება, ცელიაკიით დაავადებული 6 ბენეფიციარის ფინანსური დახმარება, დღის ცენტრით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე 4 პირის ცენტრის მომსახურება და 63 ბენეფიციარის ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფა;
ჟანგბადის აპარატით მოსარგებლე 5 ბენეფიციარიდან ჟანგბადის აპარატით ისარგებლა ორმა.

06 02 02 ერთჯერადი და სოციალური დახმარება დაფინანსებულია 111,1 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 88,7 %;
საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 328 ბენეფიციარს, აქედან 340 ბენეფიციარს - 200 ლარიანი ერთჯერადი დახმარება, ხოლო ასი და მეტი წლის ასაკის 3 უხუცეს პირს - 1000 ლარიანი ერთჯერადი ფინანსური დახმარება.

06 02 03 ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება დაფინანსებულია 1,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 2,0 ათასი ლარი - 50 %;
საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს გადაეცა ფინანსური დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის, ხოლო სარიტუალო ხარჯები აუნაზღაურდა 2 (ორი) ბენეფიციარის ოჯახს, თითოეულს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობის.

06 02 04 დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება დაფინანსებულია 44,2 ათასი ლარით (27 ბენეფიციარი), გეგმური მაჩვენებლის - 45,0 ათასი ლარის - 98,2%;

06 02 05 ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა დაფინანსებულია 65,5 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 70,4 ათასი ლარის - 93 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება".

06 02 06 მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება (38 ბენეფიციარი) დაფინანსებულია 103,9 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 114,0 ათასი ლარის - 91,1 %; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის".

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები დაფინანსებულია 5 904,9 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 7 568,1 ათასი ლარი - 78%) შემდეგ პროგრამებზე:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	სხვაობა	შესრულება, %
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	7,568.1	5,904.9	1,663.2	78.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	7,106.4	5,708.2	1,398.2	80.3
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,103.7	1,010.1	93.6	91.5
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	5,952.2	4,693.5	1,258.7	78.9
01 01 04	საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება	50.5	4.6	45.9	9.1
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	461.7	196.7	265.0	42.6
01 02 01	სარეზერვო ფონდი	200.0	-	200.0	-
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	50.0	-	50.0	-
01 02 03	წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა (მგფ-ს სესხი)	196.7	196.7	-	100.0
01 02 04	მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა	15.0	-	15.0	-

01 01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულო - დაფინანსებულია 1 010,1 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის (1 103,7 ათასი ლარი) 91,5%;
საანგარიშო პერიოდში გაწეულია ფუნქციონირების ხარჯები: შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 769.9 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 151.7 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე 7,5 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 81 ათასი ლარი.

01 01 02 მუნიციპალიტეტის მერია - დაფინანსებულია 4 693,5 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის (5 952,2 ათასი ლარი) 78,9%;
საანგარიშო პერიოდში გაწეულია ფუნქციონირების ხარჯები: შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 3 223,9 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურებაზე - 1 282,1 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფაზე - 34.2 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 33.0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 120.3 ათასი ლარი;

01 01 04 საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება - დაფინანსებულია 4,6 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის (50,5 ათასი ლარი) 9,1%;

01 02 01 სარეზერვო ფონდი - საანგარიშო პერიოდის გეგმა - 200,0 ათასი ლარი, ხარჯი არ გაწეულა;

01 02 02 წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა - საანგარიშო პერიოდის გეგმა - 50,0 ათასი ლარი, ხარჯი არ გაწეულა;

01 02 03 წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა (მგფ-ს სესხი) - საანგარიშო პერიოდის გეგმა - 196,7 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 196,7 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 100%;
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 5 ცალი კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის და 200 ცალი ნარჩენების კონტეინერის შეძენის მიზნით, 2017 წელს სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და მცხეთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული სესხის მთლიანად დაფარვა.

01 02 04 მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა - საანგარიშო პერიოდის გეგმა - 15,0 ათასი ლარი, ხარჯი არ გაწეულა;